ინდივიდუალური სასწავლო და ტრანზიციის გეგმების შემუშავება

იაგორ ბალანჩივაძე, მარეხ ნიკოლაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge; Marekhi.nikoladze@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2022.765

ინდივიდუალური სასწალო გეგმა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის და გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) ეფუძნებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს მის მოთხოვნებს.

მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისას შეიძლება ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (ისგ), თუ მოსწავლისთვის ყველა საგნობრივ პროგრამაში სასწავლო მიზნები ინდივიდუალურად არის განსაზღვრული.

იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლემ შეძლოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ან გეგმის ფარგლებში ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნების მიღწევა, აუცილებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება სასწავლო პროცესსა და თავად სასწავლო გეგმაში. ცვლილებები მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს: შესაძლოა, ეს ეხებოდეს სასწავლო შედეგს, ამ უკანასკნელის მიღწევის ან სასწავლო აქტივობისთვის განსაზღვრულ დროს, სასწავლო მასალას, შეფასების სქემას, სწავლების ფორმას (ჯგუფური, ინდივიდუალური [შინ სწავლება]), სწავლების სტრატეგიებსა და სხვ. ეროვნული სასწავლო გეგმის მოქნილობა შესაძლებლობას გვაძლევს, გეგემის კომპონენტები ისე ვცვალოთ, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალიწინებული მოსწავლის საჭიროებები.

ისგ ეხმარება სსსმ მოსწავლეს, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში თავისი რესურსებისა და უნარების შესაბამისად. მის შედგენაზე მუშაობს გუნდი, რომლის წევრები არიან: საგნის მასწავლებლები, სკოლის ფსიქოლოგი და/ან სპეციალური მასწავლებელი, ბავშვის მშობელი. თუ ბავშვი ჩართულია ინტერვენციის პროგრამაში, სასურველია, სპეციალისტმაც მიიღოს მონაწილეობა გეგმის შემუშავებისთვის გამართულ შეხვედრაში. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პირველი ეტაპია ბავშვის შემეცნებითი და აკადემიური უნარების შეფასება. სკოლის ფსიქოლოგი აფასებს ბავშვის ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, აღქმისა და მეტყველების უნარებს. მასწავლებელი და/ან სპეციალური

მასწავლებელი აგროვებს ინფორმაციას და აფასებს ბავშვის წერის, კითხვისა და მათემატიკურ უნარებს. ინდივიდუალურ გეგმაში ასევე ასახულია ბავშვის საგნობრივი კომპეტენციები - ანუ რა ცოდნა აქვს მას კონკრეტულ საგნებში. საგნობრივი ცოდნის განსაზღვრა მნიშნელოვანია იმისათვის, რომ სწორად მოხდეს სამუშაო მიზნების შერჩევა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება სხვადასხვა ფორმატის იყოს, თუმცა შინაარსობრივად ის მოიცავს: გრძელვადიან მიზნებს; მოკლევადიან მიზნებს; იმ სტრატეგიებისა და რესურსების მაგალითებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებებზე მუშაობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შექმნილია ერთი კონკრეტული ბავშვისთვის და მორგებულია მის შესაძლებლობებზე. მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში ასახული მიზნები არ იყოს არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი. იმისათვის, რომ სწორად მოხდეს მიზნების შერჩევა, საჭიროა ინდივიდუალური გეგმის შედგენაში გუნდის თითოეულმა წევრმა მიიღოს გარკვეული მონაწილეობა.

სასკოლო ასაკის დადგომისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობისას, მშობელს აქვს შესაძლებლობა, საბავშვო ბაღის ან ადრეული განვითარების პროგრამის შუამდგომლობით ან დამოუკიდებლად მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. აღნიშნულ გუნდში წარმოდგენილი სპეციალისტები აფასებენ და ადასტურებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობას.

სტატუსის დადასტურებისა და მშობლის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში გუნდი უწევს მშობელს რეკომენდაციას საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევისა და შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებზე.

ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ დასაბუთებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მშობელი ხდება უფლებამოსილი, ზოგადი განათლების სისტემაში ჩარიცხვის მიზნით, ბავშვი ადრეულად დაარეგისტრიროს. ეს ოჯახს აძლევს შესაძლებ-ლობას, ბავშვი შეუფერხებლად შეიყვანოს მისთვის სასურველ სკოლაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განსაზღვრული ადრეული რეგისტრაცია სწორედ ტრანზიციის პროცესის დაგეგმვის მიზნით არის შექმნილი, ტრანზიციის პოზიტიური გამოცდილება ბავშვების მომავალი სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ადრეული რეგისტრაციის შემთხვევაში ოჯახმა რამდენიმე თვით ადრე იცის, თუ რომელ სკოლაში უნდა მივიდეს ბავშვი, შესაბამისად, ყველა ჩართულ მხარეს (ოჯახი, სკოლა, ბაღი) ეძლევა შესაძლებლობა, ერთმანეთთან აწარმოონ სწორი კომუნიკაცია და განახორციელონ მოსამზადებელი სამუშაოები.

უპირველეს ყოვლისა, ყველა მშობლისათვის არსებითია, იცოდეს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო კონვენციებითა და კანონებით დაცულია ბავშვთა განათლების, განვითარებისა და საჭირო მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

მშობლებმა სსსმ ბავშვი სასურველია მოამზადოს ბაღიდან სკოლაში ტრანზიციისათვის, განახორციელოს რამდენიმე აქტივობა: *ბაღთან დამშვიდობება* - Covid 19-ის გამო ბავშვებმა ბაღის გარემოსთან კონტაქტი ძალაუნებურად გაწყვიტეს, რის გამოც ამ საურველ სივრცესთან ემოციური კავშირი ვეღარ შეინარჩუნეს. ამიტომ მშობელმა სასურველია დაგეგმოს და წაიყვანოს ბავშვი ბაღში (Covid-19-ის პირობებში რეგულაციების შესაბამისად); ასევე შესაძლებელია, მოეწყოს ბავშვის ონლაინ შეხვედრა ბაღის აღმზრდელთან, ბაღის მეგობრებთან და ამ დროს განხორციელდეს გარკვეული აქტივობა, რომელიც სიმბოლურად

ბაღის დასრულებასთან იქნება დაკავშირებული. ერთობლივი ვირტუალური აქტივობების შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები, რომ მან სრულფასოვნად შეძლოს პროცესში ჩართვა.

ბავშვის მომზადება სასკოლო გარემოსთვის - ბავშვს სკოლის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია მივაწოდოთ სასწავლო წლის დაწყებამდე სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობის გამოყენებით; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წიგნების დათვალიერება და სასკოლო სიტუაციების აღწერა, „სკოლობანას" გათამაშება, თუკი ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში, მათი მაგალითების აღწერა, სასკოლო თემასთან დაკავშირებული მოკლე ვიდეოების/ანიმაციების ყურება და პატარასთან მისთვის გასაგები ფორმით განხილვა.

ეფექტურია ბავშვთან ერთად მისვლა სკოლაში და გარემოს მონახულება, კომუნიკაცია მასწავლებლებსა და დამხმარე სპეციალისტებთან (პანდემიის პირობებში ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების/რეკომენდაციების დაცვით). აღნიშნული ვიზიტი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სკოლა ბავშვს უნდა დახვდეს მომზადებული. სკოლაში ვიზიტის დროს, კლასის ეზოსა და სპორტდარბაზის მონახულებასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბავშვისთვის სკოლის სველი წერტილების გაცნობა. ასევე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ჰიგიენის წესების დაცვაზე, როგორც სახლში, ასევე სასკოლო გარემოში.

მომზადება კლასთან პირველი შეხვედრისათვის - სწავლის დაწყების პირველ დღეებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას ბავშვების მიერ თანაკლასელებისთვის თავის გაცნობა წარმოადგენს. აღნიშნული სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ორგანიზებული და დამოკიდებულია პედაგოგზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითად მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლემ სათანადოდ შეძლოს თვითგამოხატვა. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმა მაქსიმალურად დამოუკიდებლად და წარმატებით გაართვან თავი აღნიშნულ აქტივობას, რეკომენდებულია, მშობლებმა შვილებთან ერთად წინასწარ შექმნან ე.წ. ,,საკომუნიკაციო პასპორტი", რომელშიც ვიზუალურად იქნება წარმოდგენილი მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, მისი ინტერესები, რის კეთება სიამოვნებს ბავშვს, ვინ არიან მისი მეგობრები, რა მიღწევები ჰქონდა სკოლაში მისვლამდე, რა არ უყვარს, რა უნდა გაითვალისწინონ მასთან ურთიერთობისას და სხვა.

მნიშვნელოვანია, სკოლის მხრიდან მშობლებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რა დამხმარე მომსახურებებია ამ სასწავლო დაწესებულებაში სსსმ ბავშვების მხარდასაჭერად; ასევე რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლაში, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, როგორ მოხდება ბავშვის აკადემიური შეფასება, რა შემთხვევაში იქნება გამოყენებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სხვა. Covid-19-ით გამოწვეული გარემოებების გამო, რეკომენდებულია, სკოლამ განავითაროს ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა, შექმნას ვიდეორესურსები, რომელებიც მომავალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მისცემს შესაძლებლობას, გაიცნონ სკოლის ფიზიკური გარემო, ადამიანური რესურსები და ბავშვებისათვის განკუთვნილი დამხმარე მომსახურებები.

სწავლის საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლა (ტრანზიცია) ცხოვრების წესის ცვლილებას უკავშირდება. ის ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული და დინამიკური პროცესია. პასუხი კითხვაზე, როგორია ეს პროცესი ან რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს, მრავალფეროვანი და ინდივიდუალურია. ნებისმიერ შემთხვევაში, სწავლის ეტაპის დასრულება და შემდეგ ეტაპზე ტრანზიცია სასურველი მომავლის განჭვრეტას, ცხოვრების მიმართულების არჩევასა და ახალი როლის შეძენას უკავშირდება. მზადყოფნა ცხოვრების შემდეგი ეტაპის ანდა დასაქმებისთვის ადამიანში თანდათან ჩნდება და მისგან

მოითხოვს საკუთარი მიღწევების შეჯამებასა და გადაფასებას, ინტერესების დაზუსტებასა და სურვილების ჩამოყალიბებას, მომავალი ცხოვრების დასაგეგმად სხვადასხვა შესაძლებლობის გაცნობას, შესაბამისად, ინფორმირებულ და გაცნობიერებულ არჩევანს. ტრანზიციის პროცესი თანმიმდევრულ ეტაპებს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში ადამიანი მას დამოუკიდებლად, ხანდახან საკმაოდ სპონტანურად და, ერთი შეხედვით, შეუმჩნევლადაც კი გადის. თუმცა აღწერილი პროცესის უმტკივნეულოდ და წარმატებით გასავლელად შეიძლება აუცილებელი გახდეს როგორც სამოქმედო გეგმის შედგენა, ისე სხვათა მხარდაჭერა დასახული მიზნის მისაღწევად. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირთათვის – რომლებისთვისაც საზოგადოებაში სხვადასხვა საინტერესო გამოცდილების მიღების, საკუთარი თავისა და დასაქმების ადგილების გაცნობის შესაძლებლობა ჯერჯერობით ისევ შეზღუდულია. არსებული მრავალი ბარიერის გამო ტრანზიციის პროცესი წინასწარ გააზრებულ დაგეგმვას, საჭირო რესურსების მოძიებასა და გარემოს შესაბამის ორგანიზებას მოითხოვს.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტგ) ასახავს კონკრეტული ადამიანისა და მისი მხარდამჭერი გუნდის თანმიმდევრული მუშაობის პროცესს, რომლის მიზანია პიროვნების უზრუნველყოფა დროული, ხელშემწყობი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებითა და საჭირო მომსახურებით, რათა გადასვლა მოქნილი იყოს. ამ გზაზე სამი, ერთმანეთში გარდამავალი შუალედური მიზანი და ფაზა გამოიყოფა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ორიენტაციის ფაზა - ამით იწყება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენა. მისი მიზანია, ახალგაზრდა პირს ხელი შეუწყოს სასურველი სამსახურისა და შესაბამისი მომზადების ადგილის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, გაანალიზებასა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მომზადების ფაზა - მეორე ფაზა ფოკუსირებულია მომზადების პროცესზე, რომლის მიზანია პიროვნებისთვის სასურველი სამუშაოს შესაბამისი კომპეტენციის დაუფლება, კვალიფიკაციისა და მისი დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება. ამ ეტაპზე პიროვნების მხარდამჭერი სექტორია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

დასაქმების ფაზა - მესამე ფაზა საბოლოო შედეგის მიღწევას – დასაქმებას უკავშირდება. მისი მიზანია ახალგაზრდა დასაქმდეს, შეინარჩუნოს სამსახური და მიიღოს თანამდევი სარგებელი – გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენა და განხორციელება ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ინტელექტუალურ და პიროვნულ განვითარებაში და ხელს უწყობს საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ლიტერატურა:

1. აფთარაშვილი ი., ბალანჩივაძე ი., დევაძე ქ., მოდებაძე ნ. (2021). ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდლოგია (რიდერი), თბილისი.
2. ბაგრატიონი-მუხრანსკი მ,. ტყეშელაშვილი შ., ქურციკიძე ლ. (2021). ინკლუზიური განათლების გზამკვლელი, ინდიდვიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი
3. ქურციკიძე ლ., ტყეშელაშვილი შ. (2018) ინტელექტუალური სირთულის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, თბილისი
4. James C.Harriss, M. (2010). *Intellectual Disability.* New York: Oxford Univrsity Press

5. Michael L.Wehmeyer, K. A. (2017). *Handnook of Research-Based Practices for Educationing Students with Intellectual Disability.* New York: Routledge

Iagor Balanchivadze, Marekhi Nikoladze
Akaki Tsereteli State University

Developing individual lesson and transition plans

Abstract

The article discusses the peculiarities of drawing up an individual curriculum and an individual transition plan for students with special educational needs. An Individual Learning Plan is a document designed for a student with special educational needs (SEN) that sets out the student's individual learning goals and ways to achieve them. It is important that the individual curriculum (ILP) is based on the national curriculum and takes into account its requirements as much as possible. ILP helps SEN students to be involved in the educational process according to their resources and skills. An individual curriculum can be of different formats, but in terms of content it includes: long-term goals; Short-term goals; Examples of strategies and resources that should be used to work on a child's needs.

Early registration for children with special educational needs is designed to plan the transition process, a positive transition experience is one of the key factors in the future social, emotional and educational success of children. Parents of students with SEN should prepare the child for the transition from kindergarten to school, carry out several activities such as: saying goodbye to kindergarten, preparing the child for school, it is effective to go to school with the child and visit the environment, communicate with teachers and assistants, prepare for first class meeting and so on. The transition from study to employment (transition) is associated with a change in lifestyle. An individual transition plan reflects the consistent work process of a particular person and his or her support team with the goal of providing the individual with timely, supportive preparatory work and the services needed to make the transition flexible. There are three intermediate goals and phases in this path, namely, the phases of orientation, training and employment. An individual transition plan helps an adolescent improve his or her quality of life.

The development and implementation of an individual curriculum and individual transition plan helps students with special educational needs in intellectual and personal development, promotes integration into society.